

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური)

აღზრდელი



✚ მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში

✚ მიზანი:

აღზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვებზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღზრდელი გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

✚ დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

✚ მოცულობა: 146 კრედიტი

✚ სავარაუდო ხანგრძლივობა: 26 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

✚ მოცულობა: 116 კრედიტი

✚ სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე

✚ მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები:

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;

ბავშვის განვითარების ხელსემწყობი სტრატეგიების გამოყენება;

წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.